ხელშეკრულება №95
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ამბროლაური 04 ივნისი 2018 წელი

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (მისამართი: ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. №11) წარმოდგენილი მერის პირველი მოადგილის გიორგი დონაძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ შპს. „allmarket.ge" (მისამართი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის 16) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან კაცაძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7. „ტექნიკური დავალება" – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია: 8(რვა) ცალი მულტიფუნქციური, შავ-თეთრი ლაზერული პრინტერის შესყიდვა დანართის შესაბამისად. CPV 30232110

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3832,00(სამი ათას რვაას ოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ერთეულის ფასი 479,00(ოთხას სამოცდაცხრამეტი) ლარი.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის მიწოდებასთან დაკავშირებულ ხარჯს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე–8 მუხლში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;
5.2 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

6.2. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შესყიდვების სამსახური.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქონელის მიღება-ჩაბარების აქტსა და შესაბამის ფინანსურ დოკუმენტს;

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. საქონელის მიწოდება უნდა განხორციელდეს მისამართზე: ქ. ამბროლაური. ბრატისლავა რაჭის ქ. N11;
8.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

9. გარანტია

9.1. საგარანტიო ვადა პრინტერზე განისაზღვრება არანაკლებ ერთი წლით მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დღიდან. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს წარმოქმნილი პრობლემის აღმოფხვრას, დაზიანებული საქონლის შეკეთებას, ხოლო შეკეთების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის შეცვლას საკუთარი სახსრებით, შეტყობინებიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით;
10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრლებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
11.5. ხელშეკრულების 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან;
12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ივლისამდე.

15. მხარეები

შემსყიდველი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ქ.ამბროლაური, ბრატისლავა რაჭის ქ.11
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ №222938490

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის

მერის პირველი მოადგილე: გიორგი დონაძე

მიმწოდებელი

შპს. „allmarket.ge“
ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის 16
სს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE89TB7858336080100003
ს/კ 404431432

დირექტორი: ქეთევან კაცაძე

დანართი #1

04 ივნისი 2018წ

შპს allmarket.ge

ს/კ 404431432

#	საქონლის დასახელება	მახასიათებელი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით	საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
1	პრინტერი Pantum M6550NW	პრინტერი Pantum M6550NW A4 Multifunction Laser Printer MFP 22ppm (A4) / 600 MHz / 128mb /USB 2.0 Hi-Speed; 100base-txEthernet; WiFi 802.11b/g/n; Print/Copy/Scan 20,000 pages	8	479,0 ₾	3 832,0 ₾
				ჯამი დღგ-ს გათვალისწინებით	**3 832,0 ₾**

ხელმოწერა

დირექტორი : ქეთევან კაცაძე

ქ. კაცაძე